A FUNDAMENTAL WORK ON THE HISTORY OF BATUMI

ფუნდამენტური ნაშრომი ბათუმის ისტორიაზე

In 2023, Dr. Lela Saralidze's monographic work: "Batumi during the period of the Democratic Republic of Georgia (1918-1921)" was published. The monograph comprises the study of the history of Batumi from the period of the First World War to March 1921, when the city of Batumi, after the forced occupation-annexation of the Democratic Republic of Georgia by Soviet Russia, was returned to the Georgian people as part of Soviet Georgia. The city of Batumi was under the jurisdiction of the Democratic Republic of Georgia for less than nine months. The study is carried out on the basis of new archival documents and press materials.

The novelty of the monograph stems from the fact that in Georgian historiography the history of the city of Batumi during the period of the Democratic Republic is studied for the first time in the context of international events of that time, based on the analysis on the works of Georgian and foreign sources, including modern Turkish historians and new assessments of the events of that period.

For me, as an ethnologist, the socio-economic, cultural and sanitary issues of the city of Batumi are very interesting. A separate chapter is dedicated to the epidemic situation in Batumi, during the period of the Democratic Republic, which is discussed against the background of the so-called Spanish flu, which spread throughout the world at that time, which killed millions of people.

I think that the scientific conclusions presented in this work will be very valuable for researchers interested in the issue, as well as for diplomats and politicians.

2023 წელს დაიბეჭდა ისტორიის დოქტორ ლელა სარალიძის მონოგრაფიული ნაშრომი: „ბათუმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921)“.

ნაშრომში მონოგრაფიულად არის შესწავლილი, ქალაქ ბათუმის ისტორია პირველი მსოფლიო ომის პერიოდიდან 1921 წლის მარტამდე, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იძულებითი ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ, ეს ქალაქი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში კვლავ ქართველ ხალხს დაუბრუნდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობის პერიოდში, ბათუმის ოლქის და ქ. ბათუმის ისტორია, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ სამეცნიერო სტატიებს, მონოგრაფიულად აქამდე შესწავლილი არ ყოფილა. ნაშრომში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ქართველი ხალხი ტერიტორიული დანაკარგით, დარღვეული და დაუცველი სახელმწიფო საზღვრებით შეხვდა, ხოლო ქ. ბათუმი ამ დროს ოსმალების ხელში იყო.

ქალაქ ბათუმის პოლიტიკური ფუნქცია, მისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, დღეისათვის საქართველოს ისტორიაში კიდევ უფრო აქტუალურია და იგი აღნიშნულ ნაშრომს კიდევ უფრო ღირებულს ხდის.

მონოგრაფიაში ისტორიული მოვლენები ახალი საარქივო დოკუმენტების, ქართული და უცხოური წყაროების, მათ შორის თანამედროვე თურქი ისტორიკოსების ნაშრომთა ანალიზის საფუძველზე, ახლებურადაა შეფასებული და მოყვანილია განსხვავებული ინტერპრეტაციები. ბათუმის ოლქის და ქ. ბათუმის ისტორია იმდროინდელი საერთაშორისო მოვლენების კონტექსტშია შესწავლილი. ნაშრომში ცალკე თავად არის გამოყოფილი ბათუმის საკითხი თურქულ ისტორიოგრაფიაში, სადაც ოსმალების ხელისუფლების დამკვიდრებასთან დაკავშირებით სხვადასხვა თურქი ავტორის თვალსაზრისია წარმოდგენილია. ლ. სალარიძე სამართლიანად დასძენს, რომ მიუხედავად თურქების მიერ ქ. ბათუმის ხელში ჩაგდების მისწრაფებისა, მათ, ქალაქის დაპყრობა მხოლოდ, 1703 წელს მოახერხეს, ოსმალეთის სულთნის, მუსტაფა II-ის მიერ ინიცირებული სადამსჯელო ღონისძიების შედეგად, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების წინააღმდეგ, რომლებმაც ოსმალეთის მორჩილებაზე და ხარკის გადახდაზე უარი განაცხადეს. მაშასადამე, ბათუმი ოსმალეთის მფლობელობაში 175 წელი იყო, ვიდრე 1878 წლის 13 ივლისს, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ხელმოწერილი ბერლინის ტრაქტატით, საქართველოს დაუბრუნდა, რისთვისაც ქართველი მამულიშვილები თავდადებით იბრძოდნენ.

სათანადო საარქივო დოკუმენტების, უცხოური პრესის მასალების საფუძველზე, თურქი ავტორების მოსაზრებები, თითქოს ოსმალები ბათუმში პირველად 1479 წელს დამკვიდრდნენ, გაქარწყლებულია. ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ბათუმის ოლქის და ქ. ბათუმის ისტორიული ადგილი, რასაც ზოგიერთი თურქი ავტორი ეჭვქვეშ აყენებს, სამეცნიერო დოკუმენტებზე დაყრდნობით, დასაბუთებულია. ყოველივე ეს ნაშრომის დიდ ღირსებაზე მიუთითებს.

ჩემთვის, როგორც ეთნოლოგისთვის, მეტად საინტერესოა ქ. ბათუმის სოციალ-ეკონომიკური, კულტურული და სანიტარული მდგომარეობის საკითხები. დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, ბათუმში არსებულ ეპიდემიურ მდგომარეობას ცალკე თავი ეძღვნება, რაც იმდროინდელ მსოფლიოში გავრცელებული ე. წ. ესპანური გრიპის, რასაც მაშინ მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა, ფონზეა განხილული.

მონოგრაფიაში ბათუმის საკითხთან დაკავშირებით, ოპოზიციური პარტიების და ოპოზიციური პრესის დამოკიდებულება ცალკე თავშია განხილული. ისტორიული ფაქტების შეფასებისას ავტორი იყენებს ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსების მოსაზრებებს, რაც ნაშრომს კიდევ უფრო ღირებულს ხდის.

მონოგრაფიაზე დართული ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმე, რომელიც ძირითად დასკვნებს ასახავს, უცხოელ მკითხველს ნაშრომზე გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის, თუმცა საჭიროდ მიგვაჩნია მონოგრაფიის ინგლისურ, თურქულ და რუსულ ენებზე თარგმნა, რაც ხელს შეუწყობს ნაშრომის საერთაშორისო მიმოქცევაში შემოსვლას.

ვფიქრობ, ნაშრომში წარმოდგენილი სამეცნიერო დასკვნები, როგორც საკითხით დაინტერესებულ მკვლევართათვის, ასევე, დიპლომატებისა და პოლიტიკოსებისთვის მეტად ღირებული იქნება.

ლიანა მელიქიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი,
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

Liana Melikishvili
Doctor of History, Academician of the National Academy of Sciences of Georgia,
Academician-Secretary of the Department of Social Sciences